საქართველო ქ. თბილისი

ორიათას ცხრამეტი წლის სამ დეკემბერს მე, ნოტარიუსს თინათინ დევდარიანს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ირ.აბაშიძის №39, ბინა №23-ში მომმართა *ლია ჭყონიამ,* რომელმაც განაცხადა რომ არის შპს ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა-ს დირექტორი და გამოხატა სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენისა და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად *ლია ჭყონიამ პირადი 01008005221* მომმართა. მე დავადგინე მისი უფლებამოსილება იგი არის შპს ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა-ს დირექტორი თანახმად ამონაწერისა იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19100314, 21.09.2019 13:31:04 საიდენტიფიკაციო 404945244 დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათას ცხრამეტი წლის სამ დეკემბერს *ლია ჭყონია პირადი 01008005221 როგორც* შპს ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა-ს დირექტორი შემდგომში წოდებული „მიმნდობი“ წინამდებარე მინდობილობით ლევან დოლიძეს პირადი 01008021408 შემდგომში წოდებული “მინდობილი”, ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

იყოს „მიმნდობი“-ს წარმომადგენელი, უძრავი ქონების მდებარე ქ.თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა N23 საკადასტრო 01.10.14.027.101 დაკავშირებით, კერძოდ შეათანხმოს პროექტი აიღოს შენობა-ნაგებობის აშენების/მიშენების/დემონტაჟის, ღობის ამოჭრის ნებართვები, მოახდინოს შენობა/ნაგებობის პროექტირება, შეადგინოს/შეათანხმოს პროექტები, შეიტანოს პროექტში ცვლილებები და/ან დამატებები, აწარმოოს საპროექტო სამუშაოები, წარადგინოს დოკუმენტები, ატვირთოს, დაარეგისტრიროს და გაგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, რისთვისაც იყოს „მიმნდობი“-ს წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, ქ.თბილისის მერიაში, ზედამხედველობის სამსახურში, სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში, თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში, გამგეობაში, ზედამხედველობის სამსახურში, გამწვანების სამსახურში საჭიროების შემთხვევაში გააუქმოს არსებული დოკუმენტები ან შეიტანოს ცვლილებები და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, „მიმნდობი“-ს სახელით ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების შესრულებასთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

ეს მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით და ძალაშია 2022 წლის სამი დეკემბრის ჩათვლით.

ახლავს დანართი: ამონაწერისა იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19100314, 21.09.2019 13:31:04 საიდენტიფიკაციო 404945244

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუსის, თინათინ დევდარიანის სანოტარო არქივში.

გაკვეთილი, ვინ ონ ენ. ლია ჭყონია

გადახდილია სახელმწიფო *10-00 (ათი)* ლარი, 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებაზე სცადების დამტკიცების შესახებ"და 2 ლარი „სანოტარო რეგისტრაციის საფასური‘ ზემოთ მითითებული კანონის 39-ე მუხლის მოთხოვნით, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად 1.80 ლარი დღგ, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი თინათინ დევდარიანი

საქართველო * 01008013506 *

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

14451223343519

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191463024

რეგისტრაციის თარიღი

03.12.2019 წ

ნოტარიუსი: თინათინ დევდარიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქუჩა N39
ტელეფონი: 229-35-11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18